ცდილება არ მქონდა — როგორც ფეხბურთელს და როგორც უბრალოდ ადამიანს. მაგრამ როცა ჩემმა ავენტმა მითხრა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ უნდოხარო, განწყობა ცოტა არ იყოს, შემეცვალა. უნდა გავრისკო, გავიფიქრე მაშინ. ისე, ამ გუნდისადმი რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულება არ მქონია. ბავშვობაში „ტოტენჰემს“ ვქომაგობდი და მისი დაუძინებელი მტერი — „არსენალი“ მეჯავრებოდა.“

„მანჩესტერში გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე ვან ნისტელროიმ ამხანაგურ მატჩში ითამაშა და მუხლი დაიშავა. ტრავმა სერიოზული არ ყოფილა, სულ ერთი თვე გაუცვდა, მაგრამ

„სსვე-ში გადასვლით ძალიან გამიმართლა და იცით რატომ? საერთოდ, ძალიან ცრუმორწმუნე ვარ და ყოველგვარი დამთხვევებისა მჯერა. პოდა, თავის დროზე „ჰერენვენში“ რომ მივედი, პირველი ვინც გავიცანი... კლუბის მებუფეტე გოგონა იყო. „ჰერენვენში“ ჩემმა კარიერამ აღმასვლა დაიწყო. მერე „ეინდჰოვენი“ გადასულმა პირველ რიგში ის გავაცეთე, რომ იქაური მეზუფეტე გოგონა გავიცანი და შედეგიც სახეზეა. კიდევ იტყვიან, ასეთ რამებს მნიშვნელობა არა აქვსო.“

„სამშობლოს დატოვებას არ ფიქრობდი“ — თქვა ფეხბურთელმა და მალევე „აიაქსის“ ორჯერ შეუსრულა პეტი თრიქი. ხოლო „ეინდჰოვენი“, სანამ ვან ნისტელროი ევრო 2000-ისთვის ემზადებოდა, საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა „მანჩესტერ იუნაიტედთან“, რომელიც პოლანდიელებს დიდ ფულს პირდებოდა.

„ფიქრობდი, რომ უცხოეთში წასვლა ნაადრევი იყო. საკმარისი გამო-

„სსვეინდჰოვენი“ რადაც უაზრო, არაფრისმოძვენი ამხანაგური მატჩი დაგემა და თავის ტრავმამომუშებულ ვარსკვლავსაც უხმო. ეს მატჩი ვან ნისტელროისთვის საბედისწერო გამოდგა — ისევე მუხლი, ოღონდ ამჯერად ყველაფერი ბევრად სერიოზულად იყო, მას მუხლის მყესები გაუწყდა. ევროპის ჩემპიონატზე მისი თამაში გამოირიცხა, ისევე როგორც მინდორზე სწრაფად დაბრუნების ალბათობა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ავადმყოფი ფეხბურთელის წაყვანაზე უარი თქვა და შეთანხმება გაწყვიტა.

მკურნალობა გატანურად, ვან ნისტელროიმ მხოლოდ ნოემბერში დაიწყო მსუბუქად ვარჯიში, სათამაშოდ კი 2001 წლის იანვარში გავიდა. უპირველესად რამ მოხდა: პირველად ის ტორიაში პოლანდიის ტრეკინგით პირდაპირ ეთერში სსვე — „სპარტას“ სარეზერვო შემადგენლობების მატჩი გადაიკა, იმდენად დიდი იყო ინტერესი მომჯობინებული ვან ნისტელროის ნახვისა. იმ მატჩში მან 79 წუთი ითამაშა, ორი გოლი შეაგდო და დაამტკიცა, რომ ჩამოწერა ადრე იყო. არადა, ჩამოწერეს — ეინდჰოვენელთა მწვეთნელი ერთი გერეტსი იმდენად იყო დარწმუნებული, ვან ნისტელროი კარგა ხანს აღარ გამოგვადგებო, იმ სეზონში საერთოთაო განაცხადში არ შეიყვანა.


რაკი საქმე ასე აეწყო, ფეხბურთელი „მანჩესტერმა“ გაიხსენა. მაგრამ ახლა უკვე პოლანდიელები გააცივდნენ, ძველი წყენა ასსოვდათ, თუმცა ფული მართო ჯოჯოხეთის არ ანათებს... ვან ნისტელროი „მანჩესტერს“ 19 მილიონი გერმანული დოლარი დაუჯდა, ხოლო სერ ბობი ჩარლტონმა თქვა: „ის ჩვენიანია. დიდ სარგებელს და დიდებას მოგვიტანს“. ისიც ითქვა, ახალი ერთი კანტონა გვეყოლება. კანტონობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა და უფრო სავარაუდო ის არის, რომ რუულ ვან ნისტელროი ვერასდროს იქცევა იმად, რაც „მანჩესტერისთვის“ კანტონა იყო. მაგრამ „ტობ ოსის“ დაწუნებული ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ მოხვდა, ესეც ზომ უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

„სსვეინდჰოვენი“ რადაც უაზრო, არაფრისმოძვენი ამხანაგური მატჩი დაგემა და თავის ტრავმამომუშებულ ვარსკვლავსაც უხმო. ეს მატჩი ვან ნისტელროისთვის საბედისწერო გამოდგა — ისევე მუხლი, ოღონდ ამჯერად ყველაფერი ბევრად სერიოზულად იყო, მას მუხლის მყესები გაუწყდა. ევროპის ჩემპიონატზე მისი თამაში გამოირიცხა, ისევე როგორც მინდორზე სწრაფად დაბრუნების ალბათობა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ავადმყოფი ფეხბურთელის წაყვანაზე უარი თქვა და შეთანხმება გაწყვიტა.

მკურნალობა გატანურად, ვან ნისტელროიმ მხოლოდ ნოემბერში დაიწყო მსუბუქად ვარჯიში, სათამაშოდ კი 2001 წლის იანვარში გავიდა. უპირველესად რამ მოხდა: პირველად ის ტორიაში პოლანდიის ტრეკინგით პირდაპირ ეთერში სსვე — „სპარტას“ სარეზერვო შემადგენლობების მატჩი გადაიკა, იმდენად დიდი იყო ინტერესი მომჯობინებული ვან ნისტელროის ნახვისა. იმ მატჩში მან 79 წუთი ითამაშა, ორი გოლი შეაგდო და დაამტკიცა, რომ ჩამოწერა ადრე იყო. არადა, ჩამოწერეს — ეინდჰოვენელთა მწვეთნელი ერთი გერეტსი იმდენად იყო დარწმუნებული, ვან ნისტელროი კარგა ხანს აღარ გამოგვადგებო, იმ სეზონში საერთოთაო განაცხადში არ შეიყვანა.

რაკი საქმე ასე აეწყო, ფეხბურთელი „მანჩესტერმა“ გაიხსენა. მაგრამ ახლა უკვე პოლანდიელები გააცივდნენ, ძველი წყენა ასსოვდათ, თუმცა ფული მართო ჯოჯოხეთის არ ანათებს... ვან ნისტელროი „მანჩესტერს“ 19 მილიონი გერმანული დოლარი დაუჯდა, ხოლო სერ ბობი ჩარლტონმა თქვა: „ის ჩვენიანია. დიდ სარგებელს და დიდებას მოგვიტანს“. ისიც ითქვა, ახალი ერთი კანტონა გვეყოლება. კანტონობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა და უფრო სავარაუდო ის არის, რომ რუულ ვან ნისტელროი ვერასდროს იქცევა იმად, რაც „მანჩესტერისთვის“ კანტონა იყო. მაგრამ „ტობ ოსის“ დაწუნებული ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ მოხვდა, ესეც ზომ უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

ჯორდანის კალენდარი



მაიკლ ჯორდანი „ვაშინგტონის“ მაისურატი

კალაბურთიში მესამედ მოსული მაიკლ ჯორდანი ველმინგტონში ოფის ღერის და ორიოდ კვირამი თავის ბრწყინვალე კარიერის მეთოთხმეტე სეზონის დაიწყო. დიადი მაიკლი ამბობს, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვარ, რეგულარული სეზონის 82-ვე მატჩში ვითამაშებ და ყველაში ბოლომდე დავიხარჯები, რადგან თამაში მომენტარა და ჩემთვის ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, „ჩიკაგოს“ წინააღმდეგ თამაშის წინ ჯორდანს მეტად აუტყვევებდა გული, ვიდრე ვთქვათ, „კლივლენდის“ შეხვედრისას. ქვემოთ შემოვთავაზებთ საყოველთაო აზრით ზოგიერთ მნიშვნელოვან თამაშს ჯორდანის მონაწილეობით.



მაიკლ ჯორდანი პრესკონფერენციაზე

ჯორდანთან რამი ვის უნდა?!

ყველა ვიცით, ვინ არის მაიკლ ჯორდანი, კაცი, რომელიც ვერ იტანდა დამარცხებას. მას უგონობა ყველასთვის, ვის წინააღმდეგაც უთამაშობდა, მოუგია ყველა ტურნირ-ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიუღია, აუღია ყველა ტიტული, რისი აღებაც შეიძლებოდა და ამიტომაცაა, იგი უდიდესი კალაბურთელი. 1998 წლის ივნისის ერთ დღეს მან ბოლო წაშე ჩაუგლო ბურთი „იუტას“, „ჩიკაგო“ მეექვსედ გახადა ჩემპიონი და გამარჯვებული წავიდა კალაბურთიდან.

„შემოხეტებულებო“. მაიკლს კი ყოჩაღად ეჭირა თავი, იოლად იგერიებდა მასმედიის მწვავე შეტევებს და მის ინტონაციაში ოდენ ერთხელ თუ ორჯერ გაიფლერა თავდაცვითმა ტონმა. საბოლოოდ აბეზარი პრესა მიხვდა საკუთარი შეკითხვების უაზრობას და დაწმუნდა, რომ მაიკლ ჯორდანი მხოლოდ და მხოლოდ კალაბურთის სიყვარულის გამო ბრუნდება, გადასარევადა აქვს გააზრებული ყველაფერი და მშვენიერად იცის, რასაც აკეთებს.

ვარად დაშობინდა და პრესკონფერენციაც შედარებით მეგობრულ ატმოსფეროში გაგრძელდა. ჟურნალისტთა ერთგვარი აგრესიული განწყობის მიუხედავად, ჯორდანის დაბრუნებამ მაინც ყველა გაახარა. ჟურნალისტებისთვის ხომ ამგვარი ამბები მისწრებაა, გულშემატკივრები თავინი კერპს კვლავ იხილავენ მოედანზე ნა-ს ხელმძღვანელები ლივის შემოსავლის გაზრდას ელიან, ყველაზე მეტად კი ჯორდანის დაბრუნებით, რაღა თქმა უნდა, მისი გუნდი „ვაშინგტონ ვიზარდსი“ იხიერებს. კლუბმა უკვე გაასალა შინაურ თამაშებზე დასასწრები წლიური აბონემენტების სამი მეთხუთსი დაახლოებით 14500 ერთეული, რაც კლუბის აბსოლუტური რეკორდია. თავად უხვი „ვიზარდსი“ თვალეზში გამოიხედება და აქამდე ყველაზე მაგარი მინიმუმ საშუალოებში გაერევა. „ვაშინგტონმა“ წინა სეზონში 82 თამაშიდან 63 წააგო. ახლა დღეაქალაქელები იმედოვნებენ, რომ სეზონს მოგება-წაგებების დაღებითი ბალანსით დაასრულებენ.

ახლა მაიკლ ჯორდანი 38 წლისაა, სამწლიანი უქმობის შემდეგ კალაბურთის უბრუნდება და თან უამრავი საინტერესო-უინტერესო კითხვა მოაქვს. 1 ოქტომბერს საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე შეკრებილ ორ ორას ჟურნალისტს საშუალება მიეცა, კალაბურთის რესტავრირებული მეფისთვის კითხვები დაესვა, პირველად თითქმის სამი წლის განმავლობაში და ამ კითხვათაგან ბევრი ჯორდანისთვის არცთუ სასიამოვნო გახლდათ. მაგალითად: „თქვენ თქვენ საქმეს უბრუნდებით თითქმის დარწმუნებული, რომ უპირობოდ პირველი ვერ იქნებით. არადა, იმის გამო, რომ მარცხი აგერიდებინათ თავიდან, ორჯერ პიკზე მყოფი წახვედით კალაბურთიდან.“

„გვინდა, ყველა უარყოფითად განაწყო ჩემმა გადაწყვეტილებამ. თუ მე ყველა გახეიში წავიკითხავდი ყველაფერს, რის გაკეთებასაც ვცდილობდი, გევიცხებით, აღარ ვიცხოვრებდი ამერიკაში. ამერიკა თავისუფლების მქონე ქვეყანაა და მეც მინდა, თავისუფალი ვიყო საკუთარ თავთან, ვაკეთო ის, რაც მინდა. ახლა კი მხოლოდ კალაბურთის თამაში მინდა. აი, ჩამობითვალეთ ყველაფერი, რის გამოც არ უნდა დაგბრუნებულიყავი. მე რომ ყველას აზრი მომეხმინა და გამეთვალისწინებინა, არ ვიქნებოდი, ვინც ვარ. ...თქვენ ჩემი სახელის გაფერქთალებაზე შიშობთ, მე კი არა, რადგან რისთვისაც მიმიღწევია, ვერაფერს წამართმევს. არ ვამბობ, რომ ძველის თავიდან მიღწევას არ შევეცდები. მაგრამ მე პირველ რიგში თამაშისთვის ვბრუნდები და არა ტიტულებისთვის. კარგი თაობა მოვიდა და მინდა, მათ ვუთამაშო. თუ მათთან თანაბრად ბრძოლას შევძლებ, დიდებული იქნება, თუ ვერა — არც ამით დამეცხვება თავზე ქვეყანა. ასე რომ, ბიჭებო, ჩვეულებრივად მიიღეთ ის ამბავი, რაც თქვენც გინდოდა, რომ მომხდარიყო.“ — ჯორდანის ამგვარი პასუხის შემდეგ ყველა დროის უძლიერეს კალაბურთელთან „მეომარი“ პრესა ერთგ-

ვარად დაშობინდა და პრესკონფერენციაც შედარებით მეგობრულ ატმოსფეროში გაგრძელდა. ჟურნალისტთა ერთგვარი აგრესიული განწყობის მიუხედავად, ჯორდანის დაბრუნებამ მაინც ყველა გაახარა. ჟურნალისტებისთვის ხომ ამგვარი ამბები მისწრებაა, გულშემატკივრები თავინი კერპს კვლავ იხილავენ მოედანზე ნა-ს ხელმძღვანელები ლივის შემოსავლის გაზრდას ელიან, ყველაზე მეტად კი ჯორდანის დაბრუნებით, რაღა თქმა უნდა, მისი გუნდი „ვაშინგტონ ვიზარდსი“ იხიერებს. კლუბმა უკვე გაასალა შინაურ თამაშებზე დასასწრები წლიური აბონემენტების სამი მეთხუთსი დაახლოებით 14500 ერთეული, რაც კლუბის აბსოლუტური რეკორდია. თავად უხვი „ვიზარდსი“ თვალეზში გამოიხედება და აქამდე ყველაზე მაგარი მინიმუმ საშუალოებში გაერევა. „ვაშინგტონმა“ წინა სეზონში 82 თამაშიდან 63 წააგო. ახლა დღეაქალაქელები იმედოვნებენ, რომ სეზონს მოგება-წაგებების დაღებითი ბალანსით დაასრულებენ.

ეკითხებოდნენ ზედმეტ წონაზე, ტრავმებზე, მებრძოლი სულისკეთების და ეფექტურობის დაცემაზე. ახლადმოსულ ყოჩაღ ბიჭებთან თავის მოჭრის ალბათობაზე, დიდი სახელის გახსენებზე ერთი სიტყვით, ჟურნალისტებმა მის პაერის უდიდებულესობას უკლებლივ ჩამოუთვალეს ყველა მიზეზი, რომელიც გათვალისწინებულ ჯორდანის თავი ყულფში არ უნდა გაეყო და სპორტული სიბერისას მოედანზე არ უნდა

„ვიმედოვნებთ, რომ მოუმატებთ, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, გამოვირდება, თუ 50 თამაშს მოვიგებთ“ — ამბობს ჯორდანი. ახლა ჯორდანი ახალგაშობილი თანაგუნდელებითურთ ინტენსიურ მზადებაშია. 2 ოქტომბერს, ანუ გუშინ ჯორდანის მშობლიურ ქალაქ ვილმინგტონში, ჩრდილოეთ კაროლინას შტატში, „ვაშინგტონ ვიზარდსის“ საწვინთელი ბანაკი გაიხსნა. 30 ოქტომბერს კი ლიგა ახალ სეზონს იწყებს და ამ დღეს ჯორდანის ხელახალი დებიუტი შედგება. „ვიზარდსი“, „ნიუ იორკ ნიქსის“ უცნობიდან „მელისონ სკვერ გარდენში“ სტუმრობს.

„ვიმედოვნებთ, რომ მოუმატებთ, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, გამოვირდება, თუ 50 თამაშს მოვიგებთ“ — ამბობს ჯორდანი. ახლა ჯორდანი ახალგაშობილი თანაგუნდელებითურთ ინტენსიურ მზადებაშია. 2 ოქტომბერს, ანუ გუშინ ჯორდანის მშობლიურ ქალაქ ვილმინგტონში, ჩრდილოეთ კაროლინას შტატში, „ვაშინგტონ ვიზარდსის“ საწვინთელი ბანაკი გაიხსნა. 30 ოქტომბერს კი ლიგა ახალ სეზონს იწყებს და ამ დღეს ჯორდანის ხელახალი დებიუტი შედგება. „ვიზარდსი“, „ნიუ იორკ ნიქსის“ უცნობიდან „მელისონ სკვერ გარდენში“ სტუმრობს.

იკაალი ფიჩაფილი

ლაბაქე იაკონიის მიღმა, ნაბიჯით წინ და უკან

შანხაისა და პონკონგის ტურნირების შემდეგ 20 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაქემ ტოკიოში გადანიშნა და იაკონიის ლია ჩემპიონატში ასპარეზობა გუშინ, პირველივე წრეში დაასრულა. ლაბაქეს გერმანელმა კრისტიან ფინკმა 6:7 (3:7), 6:3, 7:5 მოუგო.

ტოკიოს 970-ათასდოლარიან ტურნირში ვაჟებიც თამაშობენ და ქალებიც. აქედან 700 ათასი ვაჟთა წილია, რომლის გაყოფისთვის ბრძოლა 64 ჩოგბურთელმა დაიწყო და ნახევარმა უკვე დაამთავრა. ლაბაქეს შესარჩევი ეტაბი

არ გაუვლია, პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვდა, მაგრამ, სამწუხაროდ მეორე წრეში პოლანდიელ სხენკ შალკეს ის კი არა, მისი მძლეველი ფინკი შეხვედბა. ორშაბათს გამოქვეყნებული რეიტინგების მიხედვით ლაბაქე ჩემპიონთა რბოლაში 144-ეა (წინა კვირაში 143-ე იყო), ხოლო ძველი კლასიფიკაციის მიხედვით — 105-ე (წინა კვირაში 106-ე იყო).

ამაგდარი მწვრთნელის სახელწოდება

ლილა მისისი აკადემიის კორტებზე სამი დღე მიმდინარეობდა ბავშვთა ტრადიციული საჩოგბურთო ტურნირი. შეჯიბრი ამავდარი მწვრთნელის სოლომონ თუხარელის ხსენებას მიეძღვნა და მესხეთელ გაიმარათა. ნორჩმა ჩოგბურთელმა გოგონათა და ვაჟთა შორის გამოარკვიეს საუკეთესოები. ვაჟებმა სამ ასაკობრივ ჯგუფში გაითამაშეს მედლები. 1985-86 წელს დაბადებული შორის დათო პაიჭაძემ იპირველა. 89-90 წელს დაბადებულ ჩოგბურთელთა შეჯიბრი გორგი ჭანტურამ მოიგო, ხოლო 91-92-წლიანებში საუკეთესოს ტიტული შოთა პაიჭაძემ ირგუნა. სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ერთი მტრით ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზეს. 1987-88 წელს დაბადებულ გოგონათა გათამაშებაში ყველას თათია მიქაძემ აჯობა, 89-90-წლი-

ანებში თონა ცერცვაძემ იმარჯვა, 91-92-წლიანებში პირველობა არავის დაუთმო მარიამ სამქანაშვილმა. ხოლო ყველაზე პატარა ასაკობრივ ჯგუფში, 93 წელს და გვიან დაბადებულ ნორჩ ჩოგბურთელ გოგონათა გათამაშება თონა ტატიშვილმა მოიგო. ტურნირის გამარჯვებულებს და პრიზიორებს სამასწორი და ფასიანი საჩუქრები ერგოთ. ამასთან შეჯიბრის ორგანიზატორებმა ტურნირის მონაწილეებს საჩოგბურთო ინვენტარიც გადასცეს. თვითონ ტურნირი კი ლილა მისისის ჩოგბურთის აკადემიის და სოლომონ თუხარელის ქალიშვილის ოლიკო თუხარელის თაოსნობით მოეწყო. როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს შეჯიბრი გაისადაც ჩატარდება.

ბაჩო სვანიძე

30 ოქტომბერს ნა თავის 56-ე სეზონს იწყებს, ჯორდანი — მეთოთხმეტეს. ამერიკელთა თქმით, მსოფლიოს უცნობილესი სპორტული სარბიელი „მელისონ სკვერ გარდენი“ თავის მრავალსიმამცველ ისტორიაში ახალ ფურცელს ჩაწერს. სამი წლის უქმობის შემდეგ დაბრუნებული ჯორდანი თავის პირველ ბურთს ამ დარბაზის ერთ-ერთ კალათში ჩააგდებს, მისი „ვაშინგტონი“ კი მასპინძელი „ნიუ იორკის“ დამარცხებას შეეცდება.

3 ნოემბერს „ვიზარდსი“ სეზონში პირველ შინაურ შეხვედრას ატარებს და დღეაქალაქელები პირველად იხილავენ „ვიზარდსის“ თეთრი ფორმით მოსილ ჯორდანს. მასპინძელთა მეტოქე კი თავად წინა სეზონის ფინალისტი „ფილადელფია სიქსერზია“. იმედი ვიქონიოთ, რომ „სიქსერზის“ ლიდერი და წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ალენ აივერსონი დროულად მოიარჩენს ნაპერკაცევე ხელს და 3 ნოემბერს ჯორდანის პირისპირ დადგება.

22 ნოემბერს ჯორდანის გუნდი ინდიანაპოლისში ჩადის. „ინდიანა პეისერზის“ შინაურ დარბაზ „მარკეტ სკვერ არენას“ ხშირად უნახავს ჯორდანის ფრენა. მაიკლის არაფრანში ინდიანელებმა დარბაზი გამოიცვალეს და „ვაშინგტონი“ ახალში, „კონსეკო ფილდჰაუზში“ დაუხვდებიან. „ინდიანას“ ჯერაც ჰყავს ჯორდანის ეპოქის, მისი ამბლუის უძლიერესი მოთამაშე (ცხადია, მაიკლის შემდეგ) რეჯი მილერი. ორი მოხუცი სნაიპერი დღელი უთუოდ თვალს გაახარებს.

1 დეკემბერს „ვიზარდსი“ ორლანდოში იქაურ „მეჯიქს“ დაეჭიდება. ამ გუნდში კი თამაშობენ ჯორდანის ყოფილი მეტოქე პატრიკ იუნგი, ყოფილი თანაგუნდელი ჰორას გრანტი, ყოფილი „მომაგალი ჯორდანი“ გრანტ პილი და დღევანდელი „მომაგალი ჯორდანი“ ტრეისი მაკერიდი.

16 დეკემბერს ჯორდანს კიდევ ერთ შესაძლო მეტოქედ რესთან, ტორონტო-ულ ვინს კარტერთან შეჭიდება მოუწევს. ჯორდანი და კარტერი ცხოვრებაში პირველად გაეჯიბრებან ერთმანეთს დრიბლინგში, ჩატენგებში, მოხდინილად თამაშში და რაც შეიძლება, მეტი ქულის კეთებაში.

19 დეკემბერი ძველ ნაცნობთა შეხვედრის დღეა, „ვაშინგტონი“ „ატლანტას“ მასპინძლობს, ამ გუნდის ლიდერი კი უწინ „ჩიკაგოს“ სათადარიგო, ზორვატი ტონი უკოჩი გახლავთ.

4 იანვარს, ვაშინგტონში ჯორდანი პირველად ითამაშებს იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელსაც 13 წელი შეაღია. უჯორდანოდ დარბაზი „ჩიკაგო ბულზი“ ვაშინგტონში ჩადის და დღეაქალაქელები ნამდვილად მღელვარე შეხვედრის მომსწრენი გახდებიან მოუხედავად იმისა, რომ დღეს „ჩიკაგოში“ ჯორდანისთვის უცხო ბიჭები თამაშობენ.

19 იანვარს ჯორდანი „ვაშინგტონთან“ ერთად შეაბიჯებს „ჩიკაგო ბულზის“ „იუნაიტედ სენტერში“ და იმ გუნდის დამარცხებას შეეცდება, რომლის მაისურით მოსილიც იმ დარბაზში წლების განმავლობაში აწიოკებდა „ბულზის“ მეტოქეებს. არც მგზნებარე, ჯორდანზე გადარეული ჩიკაგოელ ფანებთან შეხვედრა დაევიწყეთ.

12 თებერვალი „ლიუკერსთან“ შეხვედრის დღეა ძველ „ჩიკაგოს“ და დღევანდელ „ლიუკერსს“ ბევრი საერთო აქვთ. პირველს ჯორდანი ჰყავდა, მეორე „მომაგალი ჯორდანი“ კობი ბრაიანტით ამაყობს. „ლიუკერსი“ ფაქტობრივად „ჩიკაგოს“ განთავისუფლებულ ტახტზე მოკალათდა. ამ ორ გუნდს შორის ხიდი კი მწვრთნელი ფილ ჯუქსონია. სამი წლის წინ ჯორდანი ხომ იმიტომ წავიდა კალაბურთიდან, რომ ფილ ჯუქსონი „ბულზიდან“ აბარგდა.

27 თებერვალს „პორტლენდ თრილ ბლეიზერსი“ ვაშინგტონში ჩადის. „ჩიკაგოს“ ექვსი ჩემპიონობის ორი მთავარი შემოქმედი ჯორდანი და მისი ძმაცაკი და მარჯვენა ხელი სკოტი პიპენი ცხოვრებაში პირველად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

21 აპრილს ჯორდანს იმ დარბაზში შეაბიჯებს, სადაც სამი წლის წინ უკანასკნელი თამაში ჩატარა და „ჩიკაგოს“ მეექვსე ჩემპიონობა გამოჰვდა. ამ დღეს ჯორდანი სოლტ ლეიკ სიტში დარბაზ „დელტა სენტერში“ „მოსისხლე მტრების“ — კარლ მელოუნის და ჯონ სტოქტონის „იუტა ჯაზს“ შეეებება.

განათლების სამინისტროს ჰარმონული განვითარების ცენტრი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ხელოვნების სტუდიაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობებზე. მოსწავლეები შეისწავლიან ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას, გობელენსა და მყარამეს, ხისა და ლითონის დამუშავებას. სტუდიაში მიიღებიან ბავშვები შვიდი წლის ასაკიდან და ზემოთ. მისამართი: დავით აღმაშენებლის 68. ტელ: 95 48 57, 92 03 96

თასი პოლუსისკენ ნავიდა

პრეტაზმა ვერობის საკლუბო თასი გათამაშდა. ჩვენი ბოლო წერილი 4 ტურის შემდეგ არსებულ ვითარებას აღწერდა, ტურნირში კი სულ 7 ტური უნდა შემდგარიყო შვეიცარიული სისტემით.

მოლოდინისამებრ, პირველობისთვის პრეტენზია საუკეთესო შემადგენლობის გუნდებმა განაცხადეს. რუსული „გაზოვიკი“, „სანკტ პეტერბურგი“, „ნორილსკი ნიკელი“, ბოსნიური „ბოსნა“ და უკრაინული „დანკო“ იბრძოდნენ თასისთვის და მცირე მოულოდნელობა ის თუ იყო, რომ ამით ღაფაში ვარშავის „პოლონია“ ჩაერთო. მცირე, ვამბობთ, რადგან „პოლონიასავით“ ძლიერი პირველი და მეორე დაფები არც ერთ კლუბს არ ჰქონია — ვასილი ივანჩუკს და ვეგენი ბარევეს ვგულისხმობთ. პოლონელებს მეორე ეშელონი 3 ყავდათ სუსტი, იქ ძირითადად ადგილობრივი დი-ლოსტატები იდგნენ და ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ ითამაშებდნენ ზოგადად ძლიერი და არასტაბილური მიზაიდ კრასნოკოვი და ფიდეს ბოლო ჩემპიონატის მეოთხედუნინალისტი ბარტოლომი მარჩინა. გაირკვა, რომ ისინი კარგ ფორმაში არიან, ივანჩუკი და ბარევევიც ჩვეულებად ირგებოდნენ და პოლონელებს საქმე წაღმა წაუვიდათ.

ბოსნიური „კისელიაკი“, რომელიც ქართველი ლეგიონერების გამო გვანტერესებს, პროგნოზებს ამართლებდა, სუსტებს მუსრავდა, ბოლო ტურში კი მნიშვნელოვანი მატჩი წააგო „პოლონიასთან“ და ზურბა აზმაიფარაშვილმა და თამაზ გელაშვილმა აღზევებასა და დაცემამაც მთავარი როლი შეასრულეს.

მე-5 ტურში „კისელიაკი“ ბელგიურ „როკადეს“ შეხვდა და თითქმის მშრალად მოუგო — 5:5:5. „როკადე“ სუსტი კლუბი იყო, რომლის წევრთა რეიტინგი 2500-ს ვერ აღწევდა. პირველ დაფაზე აზმაიფარაშვილი ბელგიელთა ლეგიონერ სერგეი კიშნევს ეთამაშა. მე-5 სვლაზე ლაზიერები გაიცვალა, მერე კი ქართველის შავმა ეტლმა და პაიკმა ლაზიერის ფრთაზე შეუტყის. აზმაიფარაშვილმა პაიკი მოიგო და განაპირა გამსვლელიც შექმნა. შემდეგ უკვე კი შეხვდარი ახორციელებდნენ ღრმა რეიდებს თეთრების მოშლითყვეულ პოზიციაში და აზმაიფარაშვილს ხარისხიც დარჩა. უიმედოდ დაზარალებული კიშნევი 42-ე სვლაზე დანება, იქით კი გელაშვილმა გამოიჭირა არიფი (რეიტინგი 2199) დიტერ პლუმანსი და პაიკები გაუწვევია პლუმანსი მალე დანება.

ამ გამარჯვებით „კისელიაკმა“ საჭირო 2 ქულა შეიმატა და მე-6 ტურშიც — მორიგი 2, როცა ბრემენის „ვერდერს“ 5:1 მოუგო. აზმაიფარაშვილმა ძლიერი პინეკ პრაქეტი დაამარცხა იშვიათი „მომავლის დებიუტით“, სადაც მეფის ფრთაზე მისმა პაიკებმა ჯგროდ შეუტყეს და 45-ე სვლაზე ყველაფერი დამთავრდა. კვლავ იაქტიურა ბოსნიელთა მეორე დაფაზე პრედრაგ ნიკოლიჩმა, მოიგეს გელაშვილმა და სხვებმა და „ჩვენიებს“ სატურნირო ორი ქულის გარდა საჭადრაკო ქულების ოდენობაც გვარიანი გაუნდათ.

დამბულსა და არეულ ბოლო ტურში, როგორც ზემოთ ვითხარით, „კისელიაკი“ და „პოლონია“ შეხვდნენ. ყველა სხვა პარტიაში ყოიმი აღირცხა, წააგეს მხოლოდ ქართველებმა. ვასილი ივანჩუკის წინააღმდეგ აზმაიფარაშვილმა პირცი-უფიმცევის დაცვა აირჩია და 36-ე სვლაზე დანება, გელაშვილს ბარტოშ სოკომ სძლია. „პოლონიამ“ მატჩი 4:2 მოიგო და მეორე ადგილზე აღმოჩნდა ბარე თორე ფავორიტის წინ.



ალექსანდრ გრიშჩუკმა „ნორილსკი ნიკელის“ გამარჯვებაში დიდი წილი დაიდო

დასკვნითი ტურის მთავარი მატჩი გახლდათ „დანკო“ — „ნორილსკი ნიკელი“, რომელშიც უკრაინელებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს, რაც იოლი საქმე არ იყო. აი, რას ამბობს „ნორილსკი ნიკელის“ შესახებ რუსულივე „გაზოვიკის“ მოლდაველი ლიდერი ვიორელ ბოლოვანი: „გუნდმა დაიჭირა თავის თამაში, ლიდერები გამოჩნდნენ და საერთოდ, მათთან ყველაფერი პროფესიულად იყო ორგანიზებული: კარგი მოთამაშეები, ფინანსები, შეკრებები — შედეგიც სახეზე“. შედეგი კი ის გახლავთ, რომ „ნორილსკი ნიკელი“ ვერობის თასს დაეფუტა. „დანკოსთან“ ნორილსკელებმა ყველა პარტია ყოიმი დამთავრეს და ესეც ყოიმი, რადგან მათი მთავარი კონკურენტი ტიუმენიდან, „გაზოვიკი“, რუსეთისავე „სანკტ პეტერბურგმა“ დაამარცხა.

დავასასიაოთ ვერობის თასის ახალი პატრონი. „ნორილსკი ნიკელი“ დოლგანების და ნენების კლუბია, რომლებიც თითქმის პოლუსთან მდებარე ქალაქ ნორილსკსა და მის არემარეში ცხოვრობენ და ნიკელის ქარხანა აქვთ. ამ კლუბში წლეულს კარგი შემადგენლობა მოგროვდა, რომელთაგან მეორე და მესამე დაფის პატრონები, ალექსანდრ გრიშჩუკი და სერგეი რუბლიოვსკი კრეტაზე განსაკუთრებით გამოირჩნენ. პირველ დაფაზე შავ სამუშაოს სტაბილურად ასრულებდა გამოცდილი სერგეი დოლმატოვი და სხვებმაც თუ არგეს, თორემ საქმისთვის არაფერი უნდაო. შარშანდელი გამარჯვებული „ბოსნა“ მხოლოდ მეხუთე იყო, „კისელიაკმა“ კი ებრაული კლუბების კომპანიაში მეშვიდე-მეცხრე ადგილები გაიყო, „გატანდი ბურთებით“ ანუ დაგროვილი ქულებით კი გაუსწრო კიდევ.

დავით გულუა

საბოლოო ვითარება

1. ნორილსკი ნიკელი (რუსეთი) 13 (29,5 საქაღრაკო ქულა);
2. პოლონია (პოლონეთი) 12 (26,5);
3. გაზოვიკი (რუსეთი) 11 (27);
4. დანკო (უკრაინა) 11 (25);
5. ბოსნა (ბოსნია) 10 (29,5);
6. სანკტ პეტერბურგი (რუსეთი) 10 (25);
7. კისელიაკი (ბოსნია) 9 (26,5);
8. ბერე შევა (ისრაელი) 9 (26);
9. შლომი 3 არ ზგი (ისრაელი) 9 (22,5)

კვანდისკვირი
გაზაითი
სარბიელი
თავის ფასში
ბელეფონით!

1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97

**ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!**

..პრანს-მოზილი..

NHL სეზონის წინ
ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონის
კალგარი ფლაიბის

მოვიდნენ: მეკარე რომან ტურევი; მცველი ზობ ბუგენური; ფორვარდები რომ ნიდერმაიერი, დინ მაკამონდი, კრიგ ბურუბი
ნაივიდნენ: მეკარე ფრედ ბრეტლიტი; მცველი ტომი ალბელინი; ფორვარდები ვალერი ბურე, ჯეისონ უიმერი, მარტი მიურეი

იქნებ კალგარელ ქომაგებს გუნდის შესვეურთა მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკა იმედის საფუძველს არ აძლევდეს და მართლაც — ერთი შეხედვით „ალბმა“ წასულები პრაქტიკულად იმავე დონის მოთამაშებით შეცვალეს. მაგრამ, მეორე მხრივ, გამოიცვლილი არაა, რომ გარკვეული სასიკეთო ძეგები წლეულს მაინც მოხდეს და ეს, უპირველეს ყოვლისა, რომან ტურევიზე იქნება დამოკიდებული. ჩები მართლაც დიდი ოსტატია, მაგრამ მან, ეტყობა, ვერ გაუძლო იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რომლის ქვეშაც სენტ ლუისში იმყოფებოდა. სამაგიეროდ, მის ახალ გუნდს ბევრი არ მოეთხოვება და ამ ფაქტორმა ტურევი უსათუოდ უნდა შეაგულიანოს. კიდევ ერთი სასიკეთო სახსლე გუნდის მწვრთნელად გრეგ კილბერტის დანიშვნაა. იგი სულ 39 წლისაა და წინამორბედ ღონ ჰეისგან განსხვავებით მეტწილად ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ გუნდთან ურთიერთობა არ უნდა გაუჭირდეს. წლეულს პერსპექტიული მცველებისგან — დერიკ მორისისა და რობინ რეჟიესგან უნდა ველოდოთ წინსვლას, საგაოფენო მატჩებში კი ახალბედა ჩაკ კობასიუმ გამოიჩინა თავი. მთავარია, რომ წინა წლებისგან განსხვავებით კალგარამ სეზონი კარგად დაიწყო, რათა სტარტზე ქულების დაკარგვა ბოლოს სანანებელი არ გაუხდეს.

კოლორადო ეველანში

მოვიდნენ: მცველი ტომ გილი
ნაივიდნენ: მცველები რეი ბურეი (დაასრულა კარიერა), ჯონ კლემი; ფორვარდი კრის დინგმანი

თასის მფლობელმა ზაფხულში ორი მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა. თუ რეი ბურეის პენსიაზე გასვლა არავის გაკვირვებია, გუნდის მეორე ლიდერის, პეტერ ფორსბერგის ტრავმა ყველასთვის მოულოდნელი და გულდასაწყვეტი იყო. თუმცა, მიმომხილველთა აზრით, ჩემპიონთა დაბალანსებულ თავდასხმას პლეი ოფში გასვლა უფორსბერგოდაც არ უნდა გაუჭირდეს, ამასობაში კი შესაძლოა შევლიც დაბრუნდეს. ისე, ნუ დაგვაიწყდება, რომ დენვერელებმა თასის ნახევარფინალი და ფინალი ფორსბერგის გარეშე ჩაატარეს: სამაგიეროდ, „ზავებს“ შეიძლება დაცვაში გაუჩნდეთ პრობლემები. ბურეის და ძალზე საიმედო მცველის, ჯონ კლემის არყოფნაში კლუბს მხოლოდ ითხი ნაცადი უკანახაზული — ბლეიკი, ფუტი, სკოულა და დევირიზი შემორჩა. ხილო ვინ შეავსებს კიდევ ორ ვაკანსიას, ჯერჯერობით გაურკვეველია, რადგან ერთადერთი ახალწვეული, ვეტერანი ტომ გილი ბოლო წლებში ცუდად თამაშობს. და კიდევ ერთი, შესაძლოა პარადოქსული აზრი. ზაფხულში გუნდის შესვეურება ჩინებულად მოაგვარეს ლიდერების — ჯო საკიკის, რომ ბლეიკისა და პატრიკ რუას პრობლემა და ისინი ახალი კონტრაქტებით უზრუნველყვეს. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვჩვენებს, ვარსკვლავები ხელშეკრულების ამოწურვის წელს უფრო ბრწყინავენ ხოლმე, ვიდრე ახალი კონტრაქტების დაფორმების შემდგომ პირველ სეზონში. და ვაითუ ამ საუცხოო ტრიომაც არ შეიწუხოს თავი დიდად.

ადამონტონ ოილარსი

მოვიდნენ: ფორვარდები იოჰან ჰეტტი, მარტი რიზონერი; მცველი სტივ სტივისი
ნაივიდნენ: ფორვარდები დუგ უეიტტი, დინ მაკამონდი, სერგეი ფოლტოკი, მიხაელ რიზენი; მცველი იგორ ულანოვ

მიუხედავად ყველა წინაპირობისა, ედმონტონი ახალგაზრდა, პერსპექტიული გუნდიდან ძლიერად ვერ გარდაიქმნა და დასავლეთის გრანდების მარაქაში ვერ გაერია. ეტყობა, პლეი ოფში დალასთან გამაღმებულმა წაგებებმა „მენავთობებს“ თავისი კვალი დაატყო. შედეგად გუნდმა, რომელიც ფინანსურად ისედაც მოიკოჭლებს, ზაფხულში თავისი საუკეთესო მოთამაშე და მშვენიერა, დუგ უეიტციც ვერ შეინარჩუნა. იოჰან ჰეტტი და მარტი რიზონერი კი, ცხადია, მის სრულფასოვან შემცველებად ვერ გამოდგებიან. ყოველივე ამის კვალობაზე ედმონტონს პლეი ოფში გასვლა გაუჭირდება. თუმცა გუნდს თავისი კოზირებიც აქვს: ბრწყინვალე კარის დარაჯი ტომი სალო, ლეივის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა, მცველი ერიკ ბრიუერი და რაც მთავარია, უსწრაფესი და აგრესიული გარემარბების მთელი რიგი. მაგრამ თუ სალო დაშავდება, „მენავთობებს“ აღარაფერი ეშველება, რადგან არც ერთი ლირსული სათადარიგო მეკარე არ ჰყავთ.

მინესოტა უაილდი

მოვიდნენ: ფორვარდები სერგეი ფოლტოკი, ენდრიუ ბრიუნეტი
ნაივიდნენ: არაფინ

კოლუმბუსის დარად, მინესოტამ თავის სადებიუტო სეზონში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ერთი ხანობა გუნდი მეცხრე-მეათე ადგილს იყოფდა და პლეი ოფში გასვლის შანსიც კი ჰქონდა. ამაში უდიდესი წვლილი, უპირველეს ყოვლისა, ფაკ ლემერს მიუძღვის. ცნობილი „ზაფხუნების“ გამოიმგონებელმა თავის არაფრით გამოჩნეულ შეგირდებს, საშუალო დონის მოთამაშეებს შეაგნებინა, რომ კლუბის წარმატების საწინდარი მხოლოდ საიმედო დაცვაა. და მარცხაც, დებიუტანტის კარის დალაშქრა ლეივის გრანდებსაც კი უჭირდათ და მინესოტადან შინ ხშირად ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ. სამაგიეროდ, გასვლაზე გუნდი გაცილებით ცუდად თამაშობდა. მისთვის შაიბების გატანა უფრო რთული საქმე იყო, ვიდრე მათი არგამგება. ამიტომ წინა სეზონის ახალბედის, მარან გაბორიკის 36 ქულა საკმაოდ მაღალ შედეგად უნდა ჩაითვალოს, თანაც 19 წლის სლოვაკი გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. სწორედ გაბორიკზე, ახალწვეულ ფოლტოკსა და ბრიუნეტზე იქნება დამოკიდებული გუნდის შემადგენლობით ზრდა. ასეა თუ ისე, მინესოტას მძიმე სეზონი ელის.

ვაგჰუვერ კენაქსი

მოვიდნენ: არაფინ
ნაივიდნენ: მეკარე ზობ ესენცა

ვანკუვერის შესვეურება შარშანდელი ზაფხული გუნდის ბირთვის შენარჩუნებას და ახალი კონტრაქტების დაფორმებას მონადომეს და ამ ამოცანას ჩინებულად გაართვის იყო. ამიტომ კლუბი, ალბათ, დამტკიცებს, რომ წინა სეზონის წარმატება შემთხვევითი არ იყო. ორი წლის განმავლობაში მარკ კროუფორდმა ნიჭიერ ახალგაზრდობას მოუყარა თავი, რომელიც შორისაც, როგორც იქნა, გაიხსნა მარკუს ნელსონდი. შვედი გუნდის სულისსამდგმელად და ლიდერად იქცა და თავისი უდიდესი პოტენციალი გამოამჟღავნა. ასე რომ, იქნებ უახლოეს მომავალში სწორედ ვანკუვერმა შეძლოს ის, რაც თავის დროზე ედმონტონმა ვერ გააკეთა. მაგრამ ეს პროგნოზი რომ არ შეფერხდეს, ედ ფოვანოვსკიმ, ტყუპმა სედინებმა და სხვა ახალგაზრდებმა უნდა დამტკიცონ, რომ გუნდის წარმატება დიდად არ არის დამოკიდებული ნელსონზე. არადა, შარშანდელი სეზონის ბოლოს დაშავებული შედის და პლეიმეიკერ ენდრიუ კესელსის გარეშე დარჩენილმა ვანკუვერმა ლამის დაკარგა საპლეიოფო საგზური. გუნდის ყველაზე სუსტი წერტილი მეკარეთა რგოლი გახლავთ. დან კლუბიებს გარდა კანადელებს მხოლოდ გამოუცდილი ნორჩები ჰყავთ.



დაიბადა 1964 წლის 11 ივნისს ავინიონში მფრთველსა და სამ შვილიან ერთად ცხოვრობს ფრენკი (მედიცინარი) სიმბლდე 170 სმ, წონა 74 კგ დებიუტი ფორმულა 1-ში: საფრანგეთის დიდი პრიზი (1989) პირველი გამარჯვება: კანადის დიდი პრიზი (1996) ჩემპიონატში საუკეთესო ადგილი — IV (1996, 1997) 200 რბოლა; 1 მოგება; 32 პოდიუმი; 2 პოლუი; 4 უანრაფესი წრე 242 ქულა გუნდები: ტირელი (1989-90), ფერარი (1991-95), ბენეტონი (1996-97), ზაუბერი (1998-99), პროსტი (2000-01), ფორდანი (2001)

ალეზიმ ბიორა ასაული დახურა

კვირას აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშება „ჯორჯიანის“ პილოტს ალეზიმ ბიორას ზესაიბილო, მორასე რბოლა გახდა 37 წლის ფრანგი ფორმულა 1-ის ისტორიაში მეხუთეა, ვისაც ამ ზღვარისთვის მიუღწევია. ეს კი სულ ცოტა, 13 სეზონის განმავლობაში საჭესთან ჯდომის ნიშნავს.

რეკორდსმენმა რიკარდო პატრეზემ 17-წლიან სამძლილო მოღვაწეობაში 256 ეტაპზე დასრულა. ალეზიმ მალე კარიერის დასრულებას აპირებს, ასე რომ, იტალიელის სუპერმოდელს საფრთხე არ ეტეუება. ისე, რბოლათა რაოდენობა ხშირ შემთხვევაში პილოტის სტაბილურობაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ოსტატობაზე. მაგნი შვიდობა ორასზე მეტჯერაც დადგეს სტარტზე, მაგრამ ერთი დიდი პრიზის მოპოვებაც ვერ შეძლო, როგორც ანდრეა დე ჩეზარისმა. საპირისპირო მაგალითი კი ხუან მანუელ ფანინო გახლავთ. ლეგენდარულ არგენტინელს ხუთი საჩემპიონო ტიტულის მოსაგებად მხოლოდ 51 რბოლა ეყო. თუმცა მაშინ სხვა დრო იყო — სეზონში სულ ექვსი-შვიდი ეტაპი ტარდებოდა.

ალეზი ფორმულაში 1989 წელს გამოჩნდა და მაშინვე ყველა ალაპარაკა პირველივე გამოსვლაზე 24 წლის ახალბედას მეთხუთე ადგილი სენსაციად მონათლეს. ამომავალ ვარსკვლავს ფანტასტიკურ საჩემპიონო მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ არცთუ ხანმოკლე კარიერა ისე მიიწურა, რომ მუსიკა უნდა კინკლა დიდი პრიზის აპარა დარჩა, ჩემპიონობას ვიღა ჩივის — საერთო ჩათვლაში მეთხუთე ადგილს ვერ ასცვლდა. სხვათა შორის, ის ერთადერთი გამარჯვება ალეზიმ კანადაში 1995 წლის 11 ივნისს, თავის დაბადების დღეს იხეიდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო რვა წლის მანძილზე მას ერთი ეტაპიც არ გამოუტოვებია ავარიის ან სხვა მიზეზით — ზედიზედ 128-ჯერ გავიდა სტარტზე.

ოუბილარმა მორასე რბოლა ინდიანაპოლისის „ოვალზე“ ერთი ქულის მოპოვებით „დაასველა“. სადღისოდ უხნესი მეგობარი თვლის, რომ პენსილანიაში ერთი-ორი სეზონი დადარჩა. გაისად ჟან ალეზი იჩნებ ამერიკულ „კარტის“ ჩემპიონატშიც კი ვინაობით, თუმცა მე თუ მეთხუთე, „ჯორჯიანის“ მიჩვენება კარიერის დასრულებათ. უმთავრეს ვეტერანთა სიას ასეთი სახე აქვს:

რბოლა	მოგება	ქულა
1 რიკარდო პატრეზე	იტალია	256
2 გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	210
3 ანდრეა დე ჩეზარისი	იტალია	208
4 ნელსონ პიკე	ბრაზილია	204
5 ჟან ალეზი	საფრანგეთი	200
6 ალენ პროსტი	საფრანგეთი	199
7 მიქელე ალბორეტო	იტალია	194
8 ნაიჯელ მენსელი	დიდი ბრიტანეთი	187
9 გრემ ჰილი	დიდი ბრიტანეთი	176
10 ჟაკ ლეფიტი	საფრანგეთი	176
11 ნიკი ლაუდა	ავსტრია	171
12 ტიერი ბუტსენი	ბელგია	163
13 აირტონ სენა	ბრაზილია	161
14 ჟონი ჰერბერტი	დიდი ბრიტანეთი	161
15 მიხაელ შუმხაერი	გერმანია	161
16 მიკა საკინენი	ფინეთი	161
17 მარტინ ბრანდლი	დიდი ბრიტანეთი	158
18 ჟონ უოტსონი	დიდი ბრიტანეთი	152
19 რენე არნუ	საფრანგეთი	149
20 დერეკ უორვიკი	დიდი ბრიტანეთი	147
21 რუბენს ბარიკელი	ბრაზილია	146
...
27 ედი ირვინი	დიდი ბრიტანეთი	129
28 პინც-პარად ფრენცენი	გერმანია	128
...
31 დევიდ კულჰარდი	დიდი ბრიტანეთი	123
...
44 ოლივიე პანი	საფრანგეთი	107

ბერლინის მარათონი

რეკორდი ბრანდენბურგის ჰემპტონის

„ბალიან“ გამოხარდება, თუ აქ მომავალ წელსაც მომიწევს — თქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნაოკო ტაკაჰაშიმ ბერლინის მარათონის მსოფლიო რეკორდით მოგების შემდეგ, მაგრამ ეს კი არ ყოფილა ჟურნალისტებისთვის ნათქვამი ყველაზე საინტერესო ფრაზა, არამედ: „ყველა მიზანს მივაღწიე და უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი მომავალი გეგმები ჯერ კიდევ ბუნდოვნად მესახება, აღარ ვიცი, რისთვის ვირბინი“. ეს თქვა იაპონელმა, რომელიც პირველი იყო სიდნეის ოლიმპიადაზე, ბერლინში კი კენიელი ტეგლა ლორუპეს მსოფლიო რეკორდსაც წირვა გამოუყვანა, თან გახდა პირველი ქალი, ვინც 2 საათსა და 20 წუთზე ნაკლები მონადემა მარათონის გარბენას. ყველაფერი ლორუპეს თვალწინ მოხდა.

ქალთა სირბილი ბერლინის ქუჩებში ყოველგვარი დრამატიზმის გარეშე შედგა. ვეკულისხმობთ სპორტულ მხარეს, თორემ მორბენალთა წინ მიმავალი მანქანის დიქტორმა შეგაფონს რომ ჩასძახა, მსოფლიო რეკორდი ემზობათ, ზღვა ხალხი მოჯარდა დისტანციის ფინიშთან და ტაკაჰაშიმ ემოციების ზღვაც არ მოკლებია. მილიონამდე მყურებელი უჭვრეტდა მარათონს.

რეკორდი ფაქტობრივად თავიდანვე „დაიგემა“. თითქმის სტარტიდანვე ტაკაჰაში დაწინაურდა და რეკორდის გრაფიკს მხოლოდ 5 კილომეტრის ნიშნულზე ჩამორჩებოდა. ამის მიზეზი მსუბუქი პირქარი გახლდათ, მაგრამ მერე ისიც ჩადგა და საერთოდ მხოლოდ უნამუსო კაცი იწუწუნებდა იმ დღეს ბერლინში უხეირო ამინდზე. ტემპერატურა 15 გრადუსი ცელსიუსით, ოდნავი თინდელი და მსუბუქი ნიავი მკვდარსაც სირბილის ხასიათზე დააყენებდა. მაღალი შედეგები ამან უფრო გამოიწვია.

ბრანდენბურგის ჰემპტონიდან ტაკაჰაშიმ აუჩქარა და სულ მალე 32 წამს უგებდა გერმანელ კეტრინ ვესელს, 39-ს ლორუპეს და სხვა 31403 მორბენალი უფრო უკან იყო. კარგმა ამინდმა ამთავან 25 ათასზე მეტს შეუნარუნა ფინიშამდე სირბილის ხალისი.

ლორუპე ცოტა ხანში სულაც მე-5 ადგილამდე დაქვეითდა, მაგრამ ფინიშისკენ ხელახლა გააქტიურდა და ბოლოს ვესელსაც გაუსწრო, მაგრამ ტაკაჰაშიმ დაძვევი რომ არ იყო, ჯერ კიდევ შუაგზაზე ჩანდა. იხილეთ ტექნიკური შედეგები და იაპონელსა და კენიელს შორის ვეება სხვაობას ნახავთ.

გასაკვირი კი ის არის, რომ ტაკაჰაშიმ უმადური მწვრთნელი იოშის კიდევ ნაწყენი დარჩა, როგორ თუ ნაოკომ ბოლო ორ კილომეტრზე ტემპი დააგდო. „მას 2:19-ზე დაბლა ჩამოსვლა შეეძლო“ — თქვა მაქსიმალისტმა კოდეუმ.



ნაოკო ტაკაჰაში ფინიშზე, ტაბლოზე მისი მსოფლიოს რეკორდი

ვაშაში
1. ჯოზეფ ნგოლბუსი (კენია) 2:08.47; 2. ვილი ჩერიოტი (კენია) 2:09.08; 3. უოლიამ კობლაგატი (კენია) 2:09.05
მალში
1. ნაოკო ტაკაჰაში (იაპონია) 2:19.45; 2. ტეგლა ლორუპე (კენია) 2:28.03; 3. კატრინ ვესელი (გერმანია) 2:28.27

მონტალვო სხელ სიაში

ყოფილი კუბის და ამჟამად ესპანეთის მოქალაქე ნიურკა მონტალვო შემინებულა.

ამ სიგემზე მსტომელის ცხოვრება ლირიკულად განვითარდა: ერთხელ მადრიდის აეროპორტში მამაკაცს გადაეყარა და მიხვდა, რომ ის „ის“ იყო... ამას მოჰყვა ქორწინება და შემდგომ პროზაული რამები, რაც მელიდრამებში კი არა, რეალურად ხდება. კერძოდ, მონტალვომ კუბელობა აღარ ისურვა და ესპანეთის მოქალაქედ ჩაეწერა, გაანაწევდა ყოფილი სამშობლოს ოფიციალი და მოაკლდა სიდნეის ოლიმპიადას. მოკლედ, სიფარულმა მსხვერპლი მოითხოვა და მიიღო, მაგრამ ახლა მონტალვოს აღარაფერი უჭირს, ესპანეთს შეეგუა და მისი სახელით ჯერ ლისაბონში, ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატზე იხტუნავა, მერე ვდმონტონშიც, სადაც ღია ცის ქვეშ მსოფლიოს ჩემპიონატი იყო.

უცებ კი ირკვევა, რომ მონტალვო ტერორისტების პოტენციური სამიზნე ყოფილა. ბარსელონასთან ახლოს ესპანეთის პოლიციამ ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია „ეტას“ წევრი დააპატიმრა და უპოვა სია, სადაც ჩამოუთვლიათ ესპანეთის სამეფოს ოჯახის წევრები, მოსამართლეები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ერთი სპორტსმენი — ნიურკა მონტალვო. ისინი ტერორისტთა საგარეო სამიზნეებს წარმოადგენენ. დაკავებულ სუბიექტს ჰქვია ზუან კარლოს სუბიხანა და ამბობენ, რომ მას კავშირი აქვს „ეტას“ ოპერაციების სამსახურის უფროს ხუან ანტონიო ოლარა გარინდოსთან. ხოლო გარინდა რომ დაევაჭვინა, ოცნებობს პოლიცია, მაშინ კი უტყუარად დაეადგენთ, რეალურად ვის უნდა დასხმოდნენ ტერორისტები.

კითხვაზე თუ რა საქმე აქვს „ეტას“ კუბელთან, პასუხი ასეთია — კუბელთან არა, მაგრამ კუბელებთან ბასკი ტერორისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ, მათი და ფიდელ კასტროს რეჟიმის კავშირები ცნობილია, ხოლო მონტალვო კუბური თვალსაზრისით ხომ რენევატა? იქნებ სიაშიც ამიტომ მოხვდა.

მელიოსანს ამ ამბავმა შეებულება ჩაუშურა. „გასაგებია, რომ ამგვარი ცნობა ბოლომდე სერიოზულად არ უნდა აღვიკეთო — ამბობს მონტალვოს მწვრთნელი რაფაელ ბლანკერი — პოლიციამ ვითონა, რისკი რომ იყოს, ამ ამბავს პრესაში არ გავაგავანებდით, მაგრამ...“

„მაგრამ — დასძენს მონტალვო — დღეს ტერორისგან დაზღვეული არავინაა. ნიურკის და ვაშინგტონის საშინელებე-



ნიურკა მონტალვოს საფეხკრალი გაუნდა

ბის შემდეგ ყველას უნდა ეშინოდეს.“ მონტალვოს ეშინია, მაგრამ გრაფიკიდან ამოვარდნას არ აპირებს. 7 ოქტომბერს წერთნას განაახლებს, მომავალ ზაფხულს მიუნხენში ევროპის ჩემპიონატი.

დავით გულუა

მოსაზრებითა საყურადღებოდ!
ბანათლების სამინისტროს
კომპიუტერული ცენტრი „გზიური“
აცხადებს მოსაზრებითა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
უამსაზრებელ ჯგუფებში
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: ზ. ფალიაშვილის №42 (57-ე საშუალო სკოლა) ☎ 29-11-78, 23-53-17

დედასთან

ზახარაშვილი კომბერლი ვან დე ბერი, რომელიმაც, როგორც იქნა, მიიღო დედობის უფლება კანადის უზენაესი სასამართლოსგან. ამერიიდან, თხზი წლის ბიჭუნა ელია დედასთან იქნება. კომბერლი ნბა-ს გუნდის „განკუვერ გრიზლიზის“ მოთამაშის, ცოლ-შვილიანი თეოდორ (ბლეუ) ედვარდის საყვარელი გახლდათ და ელიაც ამ სიყვარულის ნაყოფია. როცა საყვარლებმა იჩნებეს და ერთმანეთს დაშორდნენ, ელია გაიჭყლიტა: საბრალო ბიჭი სამ კვირას დედასთან იყო განკუვერში, სამ კვირას — მამასთან ჩრდილოეთ კაროლინაში, რაც მომქანცველ მგზავრობას გულისხმობდა. ახლა სასამართლომ ყველაფერი გაარკვია და ელია კომბერლისთან დატოვა.



REUTERS კოკიტლამბიდან



REUTERS ნაუ თორკადან

აკეპონოს ნარკოტიკს

ეპ, სუშომს გამოთხოვებია ერთი დიდი იოკუტუნათაგანი, დაბადებით შავიელი ჩად როუენი, სულით და ხორციით კი ნამდვილი იაპონელი გოლიათი აკეპონო. გამოთხოვების თაობაზე აკეპონოს ჯერ კიდევ იანვარში გამოუცხადებია, ნასვლის რიტუალი კი ახლახან ჩატარებულა. სუმოს კანონების მიხედვით, კოხტად ჩანული კიკინის ტარების უფლება მხოლოდ მოქმედ მოჭიდავეს აქვს და გადადგომის რიტუალიც ისაა, რომ გადამდგარს კიკინა ააჭრან. პოდა, აკეპონოსაც აჭრის კიკინას კიკინათა ნარკვეთის ოსტატი დაიგორიო აზუმა ზეკი.



REUTERS ტოკიოდან

უდავო

ნოუ ბორბის „მედიტონ სევერ გარდენში“ საშუალო წონის ყველა დიდი ტიტული ერთი კაცის ხელში მოექცა. ბერნარდ ჰოპკინსმა ისეთი მოკლე და მოსხლეტილი მთარტყა ფელიქს ტრინინდადის მომქანცველი ბრძოლის მეთორმეტე რაუნდში, რომ რეფერიმ იმწამსვე ტექნიკური ნოკაუტი აღნიშნა და სამი დიდი ქამრის ბედიც აქ გადაწყდა. უდავო ჩემპიონი ჰოპკინსია.

ჩიოსაბს უხარიათ

ხარობს ბირმშეგნიერი ხულიანა რიოსი, ჩილეელი ჩოგბურთელის, მარსელო რიოსის მეუღლე. ხულიანა სამი თვის ქალიშვილ კონსტიტისთან ერთად ხლეგია თავის შავტუხა მეუღლეს პონტონგში, სადაც დიდი ტურნირი მიმდინარეობდა. რიოსს ამ შეჯიბრის ფინალში დაუმარცხებია გერმანელი რაინერ შუტლერი (7:6, 6:2) და ჩემპიონი შექნილა.



REUTERS პანკინგიდან



REUTERS ვარნადან

მაინც ღრიალებს

ბულგარეთის ზღვისპირა ქალაქ ვარნაში ეს-ესაა გასრულდა ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატი. ფინალში რუსის მათუშკებმა იტალიელებს აჯობეს 3:2 და ტიტული მოიპოვეს. რუსთა ბობოქარი შწვრთნელი ნიკოლაი კარპოლი კი, რომელიც თამაშის მსვლელობისას ღრიალითა და გოგონების დედის გინებითა ცნობილი, მაინც რაღაცას ყვირის არცთუ კმაყოფილი სახით.

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის საგზაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჟორცხვირა
დირექტორი ბიორგი ოძრომჭვლიძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბუნიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორამიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორ-

რედაქციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილი-სტილები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბულაძე სვეტა დევეძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კანურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბაგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge